დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა საპარლამენტ-თაშორისი ასამბლეის საბჭოს **განცხადება**

დსთ მონაწილე-სახელმწიფოთა საპარლამენტთშორისი ასამბლეა გამოხატავს ღრმა შეშფოთებას, დსთ-ს, რუსეთის ფედერაციის, გაეროს, ეუთოს ხელმძღვანელების მიერ გაწეული ძალისხმევის მიუხე-დავად, აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საქმეში მნიშვნელო-ვანი წინსვლის არარსებობის გამო.

ასამბლეა ადასტურებს თავის პოზიციას მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ ცნობილ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტის და მისი ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის თაობაზე.

ასამბლეა იწონებს და მხარს უჭერს მოწესრიგების საქმეში რუსეთის ფედერაციის, გაეროს და ეუთოს საშუამავლო ძალისხმევას, მოუწოდებს დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურებს, პარლამენტარებს გააქტიურონ ამ მიმართულებით თავიანთი საქმიანობა. ის კვლავ მიმართავს აფხაზურ მხარეს მოწო-დებით არ გადადგას ნაბიჯები, რომლებსაც შეუძლიათ გაართულონ ვითარება და გააბათილონ მოლა-პარაკებათა პროცესის.

საპარლამენტთშორისი ასამბლეის საბჭო ადასტურებს მკვიდრ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების უფლებას და მიმართავს აფხაზურ მხარეს დაუყოვნებლივ, ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე დააჩქაროს ეს პროცესი, შექმნას პირობების აფხაზეთის მოსახლეობისათვის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველსაყოფად, მოუწოდებს კონფლიქტის ყველა მხარეს ვითარების ნორმალიზაციისაკენ და მის მოგვარებაში პროგრესის მიღწევისაკენ.

ასამბლეა დარწმუნებულია აფხაზეთის პრობლემის უსწრაფესად მშვიდობიანი გზით გადაწყვე-ტაში მისი მრავალეროვანი მოსახლეობის, საქართველოს ყველა ხალხების, თანამეგობრობის საკეთილ-დღეოდ, კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის.

სანკტ-პეტერბურგი,1996 წლის 2 ნოემბერი

(Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб. 1999, გვ. 82. საკუთარი თარგმანი)